ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/17

დაბა ქედა, **27 დეკემბერი, 2024 წელი.**

სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 15:10 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 16.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ინგა ანანიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
როლანდ ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერი;
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/17 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 დეკემბერი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	
21	ინგა ანანიძე	საკრებულოს წევრი	

ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №01-06/17 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

6.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №01-06/17 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს მიმართა წინადადებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი განხილულიყო მუხლობრივად თუ მოხსენების შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შემდეგ კენჭი უყარა ბიუჯეტის მთლიანად მოსმენას და კითხვა პასუხის რეჟიმში მიღებას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს გააცნო „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95243457-95, 10.12.2024 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, სოციალურ ფენაზე შეჩერებული ვაუჩერების დაფინანსება გადავიდოდა თუ არა 2025 წლისათვის და ასევე დაინტერესდა თუ იქნებოდა მომავალი წლისათვის შესაძლებელი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხის დარიცხვა პირად ანგარიშზე.

რაზედაც ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ განმარტა, რომ 2024 წლის 15 დეკემბრის შემდეგ რეგისტრირებული ვაუჩერების დაფინასება გაგრძელდებოდა 2025 წლისათვის. რაც შეეხება ჯამრთელობის მდგომარეობის გამო პირად ანგარიშზე თანხის დარიცხვას, ძირითადად ეს ხდებოდა თუ პაციენტი იმყოფებოდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ, ამ შემთხვევაში ინვოისის

წარმოდგენის შემდეგ მერია სარეზერვო ფონდიდან ახორციელებდა თანხის დარიცხვას.

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ქედის ტერიტორიაზე არსებული კლინიკა „ევექსი"-ს დაფინასების თაობაზე: კერძოდ, მოიძებნოს პირველ რიგში ადგილობრივი სტუდენტები, რომლებიც წელს ამთავრებენ სამედიცინო უნივერსიტეტს, ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაუფინანსდეთ რეზიდენტურაში სწავლის საფასური ქედის საავადმყოფოსათვის აუცილებელი მიმართულებების მიხედვით, რომლებიც დასაქმდებიან რეზიდენტურის დამთავრების შემდეგ ქედის საავადმყოფოში. (არანაკლებ ხუთი წლის ვადით, სადაც გაუფორმდებათ შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაფინანსებული თანხის ოდენობას დააბრუნებდნენ ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ).

ამ გზით შეიძლებოდა საავადმყოფოს სრული ფუნქციონირებისათვის საჭირო კადრების მოზიდვა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვინც განცხადებით მიმართა მუნიციპალიტეტს სწავლის დაფინანსების თაობაზე ყველა განცხადება იქნა დაკმაყოფილებული. რაც შეეხება, აღნიშნულ წინადადებას თუ ასეთი ადამიანები გამოჩნდებოდნენ მერი მზაობას გამოთქვამდა მათთან თანამშრომლობისათვის.

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 1 (ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:12; 27.12.2024 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №12-95243615-95, 26.12.2024 წელი).

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:13; 27.12.2024 წელი).

3.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (წერილის ნომერი №12-95243481-95, 13.12.2024 წელი).

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:14, 27.12.2024 წელი).

4.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ (წერილის ნომერი №12-95243614-95, 26.12.2024 წელი).

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 1 (ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95243623, 27.12.2024 წელი)

5.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95243481-95, 13.12.2024 წელი).

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 1 (ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95243622, 27.12.2024 წელი).

6. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შემდეგი სახით:

№	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირ საკითხის მომზადებაზე
1	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება-მონიტორინგი	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	2024 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა-განხილვა	იანვარი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ეკონომიკურ განვითარების სამსახურის უფროს
6	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის 2024 წლის ანგარიშის მოსმენა-განხილვა.	იანვარი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროს

7	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის ანგარიშის მოსმენა-განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი
8	მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის ანგარიში	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
9	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის 2024 წლის მეოთხე კვარტალის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
10	შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის კომუნალურსერვისი -ს დირექტორი
11	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2024 წლის ანგარიშის მოსმენა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95243621, 27.12.2024 წელი)

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 15:10 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**